

თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარამო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოდგენილი მისი რექტორის ირაკლი შარაბიძის სახით (შემდგომში „აკადემია“) და „არგო მერიტაიმ“ (Argo Maritime LLC) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბესიკ ქანთარიას სახით (შემდგომში „კომპანია“), ორივე ერთად „მხარეები“, ეყრდნობიან რა თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპს, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმით მხარეები თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენენ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებს.

მუხლი 2.

მემორანდუმის ფარგლებში, კომპანია, მასთან არსებული დასაქმებული მეზღვაურების გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების ან ტრენინგ-კურსების გავლის მიზნით მიმართავს აკადემიას, ხოლო აკადემია საკუთარ ბაზაზე და თავისი რესურსებით, მემორანდუმით გათვალისწინებული პირობებით, გაუწევს აღიარებული საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო (სატრენინგო) მომსახურებას.

მუხლი 3.

მხარეთა თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ა) კომპანიაში დასაქმებული მეზღვაურები მომზადებას, გადამზადებას და წვრთნას გაივლიან აკადემიის ბაზაზე არსებულ ტრენინგ ცენტრში;
- ბ) აკადემია უზრუნველყოფს მემორანდუმით განსაზღვრული მომსახურების გაწევას „მეზღვაურთა განათლებისა და სერთიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის, STCW კონვენციის (მანილას 2012 წლის განახლებებით), IMO -ს რეზოლუციებისა და კომპანიის შიდა მოთხოვნების შესაბამისად.
- გ) მემორანდუმის ფარგლებში აკადემია კომპანიას გაუწევს მომსახურებას შეღავათიანი ტარიფებით, ამ მემორანდუმის დანართი N1 - ის შესაბამისად;
- დ) ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში კომპანიაში დასაქმებულმა მეზღვაურებმა შეიძლება მიმართონ აკადემიის როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად კომპანიის მიმართვის საფუძველზე.
- ე) კომპანია ითანამშრომლებს აკადემიასთან აკადემიის კურსდამთავრებული სტუდენტების დასამქებისა და პრაქტიკის გავლის საკითხებში.

მუხლი 4.

მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ სხვა საკითხებში ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 5.

1. მემორანდუმი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
2. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის მიზეზები.

მუხლი 6.

მემორანდუმში შესაძლებელია ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 7.

1. მემორანდუმი ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან.
2. მემორანდუმი ხელმოწერილია 2019 წლის 18 იანვარს.
3. მემორანდუმი შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენებზე და გადაეცემათ მხარეებს. აქედან ერთი ეგზემპლარი ქართულ ენაზე და ერთი ინგლისურ ენაზე გადაეცემა აკადემიას, ხოლო ერთი ქართულ და ერთი ინგლისურ ენაზე გადაეცემა კომპანიას.
4. იმ შემთხვევაში თუ წარმოიქმნება ენობრივი უთანხმოება, მემორანდუმის ქართულ ვერსიას ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა.

მემორანდუმის დანართი N1 (სატარიფო გეგმა) წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

საკონტაქტო ინფორმაცია

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

რუსთაველის ქ.53, ბათუმი,

6004 საქართველო

ტელ: +995422279450

ფაქსი: +995 422271950

ელ.ფოსტა: info@colchis.edu.ge

ვებ.გვერდი: <http://www.colchis.edu.ge>

რექტორი

ირაკლი მარაბიძე



შპს არგო მარიტიმ

ინასარიძის ქ. 4, ბათუმი

6010, საქართველო

ტელ: +995422243635

ფაქსი: +995422243635

ელ.ფოსტა: argo.colchis@gmail.com

დირექტორი

ბესიკ ქანთარია



Memorandum of Cooperation

Legal Entity of Public Law – Teaching University – Batumi State Maritime Academy represented by its rector Irakli Sharabidze (hereinafter “The Academy”), and “Argo Maritime LLC.” Represented by its director, Besik Kantaria (hereinafter “The Company”) together referred to as “Parties”, bearing in mind the principle of mutual equality, have agreed as follows:

Article 1.

Parties, within their competence, in accordance with the law of Georgia, determine the scope of bilateral cooperation.

Article 2.

Within the framework of the memorandum, the company appeals to the Academy for training, professional qualification or training – courses for seafarers employed in the company. The Academy on the bases of its own resources, according to the terms of the Memorandum, will provide education (training) services recognized by the international maritime training standards.

Article 3.

The cooperation covers the following objectives:

- a) Seafarers employed in the Company will pass preoperational training in training centers of the Academy;
- b) The Academy, according to the terms of the Memorandum, will provide education (training) services in accordance with law of Georgia on “Education and certification of Seafarers”, STCW convention (with Manila amendments), IMO resolutions and the company’s internal requirements;
- c) Within the framework of the memorandum the Company will provide services with preferential rates, according to the Annex 1 of the memorandum;
- d) Within the framework of cooperation Seafarers employed in the Company may apply to the Academy as an individual or a group based on the company’s appeal;
- e) The Company will cooperate with the Academy in the issues of employment and completing practiced of students.

Article 4.

The memorandum does not limit the types and scopes of cooperation. The Parties may cooperate in other issues of mutual interests.

